

ფენიკსი

მარტი, 1933 წ.
№ 5.
ფასი 40 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახ. გოგულაშვილი.

აბრეშუმის საქსოვი ქარხნის საუკეთესო დამკვეთი ახალგაზრდა მუშა-ქალი.

აქეთი საბჭოთა მხაბრობის, მწიკლობისა და ხელოვნების სხვა დარგის გირიქი **შალი**.

ამ

ქალი არის სეპსი, გემბე; ქალი არის დირექტორი;
ქალი არის ინჟინერი, აგრონომი, ორატორი.
გამგზავთან დედამისი მკანში არის თანასწორი.
ახალ ქვეყნის და მსოფრეების უმეკნელია აქ ეს ორი!

ბურჟუაზიულ ხელოვნებას უმომკმედების ობიექტად აღებული აქვს „მშვენიერი“
მეკავები გარყვნილი „წმიდანები“ და მფმეთა სუშვარლები: ფრინები, სალომეები, მარია
მბბღალინელები, ოდალისკები და სხვ.



იმ

მუშა-ქალი იფლს ღვრის გულამ განუწყვეტლად დღე და ღამე,
ქალი არის მხოლოდ, როგორც უსულგულე ნივთი რბე!
ქალი არის ფუფუნება, ოქროს მსხვერპლი, ოქროს მონა,
გარყვნილების ობიექტი... (აგაში აქვს ფასი, წონა!).



თანამედროვე კეროსზრიავე

საბჭოთაო ქართული პრესა



მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ნერვიული და ჩქარი ნაბიჯით დადიოდა წინ და უკან ჰიტლერი.

კედლის სარკესთან გავლის დროს ის სხვადასხვა პოზებს და სახის გამოხატულებებს ლებულობდა: ხან ნაპოლეონს ჰბაძავდა, ხან ვილჰელმს (რაშიაც უფლებამოხა უშლიდა ხელს!) — და ხან მუსოლინს. ყველაზე უფრო უკანასკნელის მიბაძვა ეხებოდა.

კაბინეტის კარები გაიღო და ჩქარი ნაბიჯით შევიდა ბერლინის პოლიციის უფროსი, რომელმაც აიღო მძღოლი. გამომეტყველებით მოახსენა:

— იწვის! თორმეტი მხრიდან იწვის!

— ნაციონალ - სოციალისტებს რა გადავიჩინებ და უწყავი! — აღტაცებით წამოიძახა ჰიტლერმა!

— მაშ, მაშ! დაუდასტურა პოლიციელმა.

— ეს ჩვენი პროგრამის ერთი მუხლია სარულეში მოყვანილი ბრწყინვალედ! ეხლა შეუდგეთ შემდეგის განხორციელებასაც! ყოველი მხრიდან შემოარტყით ალყა მუშათა რაიონებს და შეუდგით კომუნისტების ხელმძღვანელების დატუსაღებას! რა კარგი იქნებოდა ყველა მათგანის შეპყრობა, მარა რომ არ აგვითავდება სატუსაღოები! გასწით, შეასრულეთ ეს მეორე მუხლი ისე ბრწყინვალედ, როგორც პირველი!

პოლიციელი გავიდა ბრძანების შესასრულებლად. ჰიტლერმა კი განაგრძო ვარჯიშობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა ბერლინის პოლიციის უფროსი და ყოყმანით მოახსენა:

ბატონო მინისტრთა პრეზიდენტო! თუმცა ბევრი კომუნისტი ხელმძღვანელები უკვე დატუსაღებული არიან, მაგრამ ბევრმა მათგანმა მოგვასწორეს იატაკ ქვეშ თავის შეფარება და მათი აღმოჩენა მეტად ძნელი შეიქნა!

— ნაციონალ-სოციალისტებს ვერაფერია სიძნელი ვერ გადაეღობება წინ! წაუქიდეთ ცეცხლი იმ შერობებსაც ისე, როგორც პარლამენტს, რომლებს იატაკქვეშაც კომუნისტები იმალებიან!

პოლიციელი გაემართა ამ ბრძანების შესასრულებლად. ჰიტლერი კი განაგრძობდა ვარჯიშობას.

პოლიციელი კიდევ დაბრუნდა რამდენიმე ხნის შემდეგ და ესლა უფრო მეტი ყოყმანით მოახსენა:

— ბატონო თავმჯდომარე! თქვენი ბრძანება მოყვანილია სისრულეში, მაგრამ...

— რა მაგრამ? არავითარ მაგრამს არ უნდა ჰქონდეს ადგილი!

— ასეთი შერობები მეტად ბევრი აღმოჩნდნენ და თითქმის ნახევარი ბერლინი ცეცხლით ალშია გახვეული!

— იყოს! არა უშავს! ნაციონალ-სოციალისტური პარტიის იდეათა განხორციელება ბევრ მსხვერპლს მოითხოვს!

— ეს ქეშმარიტება მესმის, მაგრამ?

— კიდევ რა მაგრამ?... — ისა, რომ ცეცხლი ამ შერობიდანაც მოიწვეს და საჭიროა ოქვენი უვნებლობის დასაცავთ აქედან გასვლა.

— სად უნდა წავიდეთ, რას ამბობ! ნაციონალ - სოციალისტური პარტია ხომ კომუნისტურს არა ჰგავს, რომლებიც პეტროგრადიდან მოსკოვში გაიქცნენ ან გომინდანელებს რომლებიც პეტინიდან ნანკინში გადაბარდნენ!

— არა, ბატონო თავმჯდომარე, მე ბერლინიდან წასვლას არ გირჩევთ, არამედ აქვე მოენახე უშიშარ ადგილს, — ასეთია ტირგარტენის ბაღი, რომელსაც ცეცხლი ვერ ვერ მი სწვითა.

ჰიტლერმა ერთი კიდევ გაიარა - გამოიარა სარკის წინაშე და ამაყი გამომეტყველებით დაემორჩილა აუცილებელ შემთხვევითი დაბრკოლებას.

ტირგარტენის ბაღში საზაფხულო ყვავიანის ფარდულს შეაფარეს თავი. აქედან განაგრძობდა ჰიტლერი თავისი პარტიის პროგრამის შემდეგი მუხლების განხორციელებას ბერლინის პოლიციის უფროსის მეშვეობით.

ერთხელ კიდევ დაბრუნდა პოლიციელი და აღელვებულმა ხმის კანკალით მოახსენა ჰიტლერს:

— ბატონო თავმჯდომარე! ეგ შე

ჩვენებული კომუნისტები განაოცარე რამ ხალხი ყოფილი! ნახევარი ბერლინი გადაეწვიო, მარა მათთვის თითქოს არაფერი! ყველას ამ ბაღში შემოუფარებია თავი ჩვენსავით და რომ გაიგონ ჩვენი აქ ყოფნა — გასაყალ გზასაც აღარ მოგვეცემენ, მგონი!

— წაუქიდეთ ცეცხლი ბაღს, ამოსწვიოთ ეს სალახანები! ჩვენ კი, — გერმანია დიდია! — ვიშოვით თავი შენაფარს სხვაგანაც! გასწით, შეასრულეთ განკარგულება და ჩქარა დაბრუნდით უკან, რათა უვნებლად გავიდეთ აქედან!

ჩქარა ტირგარტენის ბაღიც გაეხვია ცეცხლის აღმურში. ჰიტლერი და პოლიციელი ჩასხდნენ მანქანაში და გაექანენ ქალაქ გარედ, მაგრამ... ჰიტლერი და პოლიციელი თავიანთ თვალებსაც აღარ უგვეროდნენ: კომუნისტებს მასებით იყო აესებული ქალაქგარეთა უბნებიც და ჩვენს წარჩინებულ მოგზაურთ მსვლელობა უძნელდებოდათ.

— წაუქიდეთ ცეცხლი! ამოსწვიოთ! ამობუგეთ ძირიან - ფესვიანა! — აძლევდა სისტიკა განკარგულებას ჰიტლერი პოლიციის უფროსს, რომელიც გულმოდგინეთ ასრულებდა განკარგულებას.

ამრიგად ჩქარა მთელი გერმანია გაეხვია ცეცხლის აღმურში: ჰიტლერი და მისი თანამგზავრი პოლიციელი მიექანებოდნენ მანქანით, მაგრამ საით თითონაც აღარ ჰქონდათ ამის წარმოღვევა.

უცრად, მათ ბედზე, სოციალ-დემოკრატების (იგივე მენშევიკების) ერთ ჯგუფს წააწყდნენ, რომლებიც თავის საშველად მიეჭართებოდნენ მეორე ინტერნაციონალის საბუდარ ბელვიის ქაობისკენ.

„ორ ბოროტებათგან უმცირესის არჩევა სჯობია“, — გაიფიქრეს გულში, როგორც ნაციონალ - სოციალისტებმა, ისე სოციალ - დემოკრატებმა და რევოლიუციონურ ცეცხლ მოდებულ გერმანიის მიწა-წყლიდან გადაეშვენ მეორე ინტერნაციონალის ბელგიელ ჭაობში და ჩაიფლნენ შიგა.

ს. თ.—იწ.



ქალთა დღე

„თებერვალი ბერავსო,
მარტი კაბას ჰკერავსო“

ნახ. ნადარმიჭვილის.

გაღნა ზამთარი
და თებერვალი,
წოვიდა მარტი,
კაბის მკერვალი.
მაშ რისთვის უნდა
ჰკერავდეს, აბა,
თუ ქალებისთვის
არ უნდა კაბა...
მოდის რვა მარტიც,
ქალთა დღეობა.
დღეს რომ ემატვის
და მზეს-მზეობა,
ქალებს—შეგნება,
გარჯა, მხნეობა,
გულის ყური და
მომჭირნეობა.
აღმშენებლობაც
მატულობს ჩვენი:
იწვევს კედელი,
მალღდება სხვენი
აა აღიმართვის
უსაზღვრო ძლევად,
ბევრ გამარჯვებად,
ურიცხვ მიღწევად
მუშის და გლეხის,
მშრომელ ქალისა
შემოქმედების,
ნიჭის, ძალისა,
რომლის შესახებ
ლენინმა ბრძანა,
რომ „ქვეყნის მართვა
და ამოცანა
მზარეულ ქალმაც
უნდა დასძლიოს,
კლასმა თვის მიზანს
რომ მიაღწიოს“.
მაშ ეს შეგნება
მშრომელ ქალებში.
შვებად გამოკრთის
და მზედ-თვალეებში
ფაბქარხნებში თუ
სხვა საწარმოში-
დამკვერელ ჯგუფებსა
თუ საამქროში,
კოლექტივში თუ
საბმამულებში...
ქალს კომუნისში
სიერთოფულეში
მზრუნველობაში
ყოველდღიურში,
შრომა-გარჯაში
კოლექტიურში
მამაკაცები
ვერ დასჯაბნიან,



— ნუ თუ შეეზინდა და უნდა
ცმცხლი ჩააქროს!
— არა... ვერა ხედავ, რომ
წყლის მაგიერ ნავთს ასხამს?

სოესენ, სკედენ თუ,
საერთოდ ჰქმნიან.
განა პარიზის
კომუნის ბედში
ქალი მამაკაცს
არ ედგა გვერდში,
ვით ამხანაგი,
თანამებრძოლი!...
დაა თუ ცოლი,
ამიტომ დედა,
საერთოდ ყველა
მშრომელი ქალი
აღმშენებლობის
თვალთა, თვალთა!
მის გვერდით ჩვენი
წინსვლაა მალი:
მუდამ გვიბრწყინავს
ძლევის მზით თვალთა.
მარტაც ქალთათვის
რას იჭდა აბა
არ შეეკერა
წითელი კაბა!..

ნახირა.

დაიბეჭდა და ამ დღეებ.

ში გამოსა

ს. თოდრიას


ახალი იუმორისტული პოემა

„პართლის

ცხოვრება“

წიგნი შეიცავს 106 გვერდს და

ლირს 1 მ. და 50 კ.



ოქტომბრის რევოლუციასდღე

და 'შემდეგ'

გაბრიელის "როლი"

ჩაუვიმო კრებაზე გაბრიელი ოფლ-ში ცურავდა. ის მკვერამეტყველურად ამტკიცებდა ქალის უფასური ბორკილებიდან განთავისუფლების აუტკილებლობას.

—ჩვენი სოცელდლიურობა, ოჯახური წვრილმანები ახრჩობს ქალის ინიციატივას, ძველი ტრადიციებიდან ვერ კადვებ გვერი რამ დარჩა თვით კომუნისტ ამხანაგების დღევანდელ ოჯახებში. ისინი ქალებს უყურებენ მხოლოდ როგორც დიასახლისებს, მათ საქმეო სამხარეულო და ნემსი მიანიათ. რვა მარტი უნდა გადაიქცეს ამ ტრადიციების მთლიანად აღმოფხვრისათვის ბრძოლის დღედ. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ქალების უფლების შეკვეცის ცდებს ჩვენს ოჯახებში.

ტაშის კორიანტელში დაამთავრა გაბრიელმა თავისი მოხსენება ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის შესახებ.

სახლში ნერვიულად დაბრუნდა.
—სადა დარჩიკო?
—კრებაზე.
—როგორ კრებაზე? არ იცოდა, რომ სახლში დაღლილი და მშვიერი მოვიდოდი? სადილი?
—სანოვავე არ იყო და ვერ მოამზადა.
—რას ქვია არ იყო, რატომ არ მოიტანა?

—ავეიანდებოდა ქალთა კრებაზე მოხსენებისათვის.

—თავი აუგდია და ისაა. რას მიქვია მისი კრება და მოხსენება, მაგისთვის მევიყვანე სახლში?

—რატომ, თუ კი ძალა შესწევს მოხსენება გააკეთოს, უშლი თუ?

—უშლი, სწორედ რომ უშლი. ის ქალია, დიასახლისი. ოჯახი იქვს, აქათასი წვრილმანი საქმეა. ეს რაა? (გაბრიელმა აწყვეტილი ღილები აჩვენა) ეს რაა? (მოუშვირა გარღვეული პიჯაკ-შარვალი) ეს რაა? (დაახე თქა მაგიდაზე გაურეცხავი სანი) ეს რაა? (ქუჭყიანი ფეხსაცმელი), ეს რაა? ეს რაა? ეს რაა?

დარკომ რომ შემოუსწრო, გაბრიელი თანდათან ექსტაზში შედიოდა და ათვლიერებდა ტანსაცმელს, რომ რაიმე სამიზეზო დეფექტი აღმოეჩინა იქ ცოლის წინააღმდეგ.

—რა ამბავია, გაბრიელ?
—შენ კიდევ ბედავ ასეთ შაიბთვას? ავიღია თავი და დ ბეტები. ოჯახს პატრონი არ უნდა?

—შე კაცო აუტანელ სასაითს იჩენ, უჯრედმა მოხსენება დამავალა. დღეს რვა მარტია, ნუ თუ ამ ქვებებისა და სამხარეულოს მონა ვგონივარ, რომ დღესაც დანაშაულად მითვლი საზოგადო მუშაობას?

—დანაშაულზე მეტია, როცა ოჯახს გაურბიხარ!

—შენც იტყვი, რომ კომუნისტი ხარ, ახალი აღმანი, წამოიგრძელებ ენას კრებებზე და ქალთა განთავისუფლების შესახებ ლაპარაკობ სხვის შესახებ დად.

—რომ ვლაპარაკობ, ჩემს ცოლზე კი არ ვლაპარაკობ, საერთოდ ვლაპარაკობ. შენ ოჯახის მოვალეობა ვაწეც, ეს უნდა შეასრულო.

—ეს რა არი? (გაბრიელი იხდის პიჯაკს და აგდებს), ეს რა არი? (იხდის ფილტს), ეს რა არის? (იხდის საყელოს), ეს რა არი (იხდის ფეხსაცმელს), ეს რა არი?

გაბრიელი უკვე საცვლების ამარა დახვდა დარკოს ამხანაგებს, რომლებიც მასთან გამოცხადდნენ კრებაზე მისაღები რეზოლიუციის პროექტის დასაბუშავებლად.

—რა დანებარათ თქვენს მუშუღეს?
—გაიგონა შარმის უკან მიმაღულმა გაბრიელმა.

—არაფერი, მათი დრამურკ ვოდევლის დგამს დღეს ქალთა დღის აღსანიშნავად და რეპეტიციას გადის.

—განა მსახიობია თქვენი ქმარი?
—რასაკვირველია!
—რა როლებს ასრულებს?
—სახასიათო კომიკურს...
—ბედნიერი ყოფილხართ აშ. და-რიკო, მსახიობის ცოლობა ხუმრობა ხომ არ არის.



ნიანგი გერმანიაში

ნიანგმა გადაიკვა თავისი უბილავი ტანსაცმელი და გაფრინდა გერმანიაში.

ჩამოფრინდა დამწვარი რეისტავთან. პიტლერს ხალხისთვის ნება დღე როთო, რომ ენახა დამწვარი რეისტავი და ამით ხალხში გამოეწვია აღშფოთება კომუნისტების მიმართ. მაგრამ ხალხმა იცოდა ნამდვილი დამნაშავენი და თავის გულსწკრომას პიტლერსა და მის პარტიას უგზავნიდა.

აქედან ნიანგი უჩინრად შევიდა პიტლერთან კაბინეტში.

პიტლერი აღელვებული დადიოდა და ბოდავდა: —საკვირველი ხალხია გერმანელები. რა დიდი საქმეა ეს რეისტავი, რომ ასე აღშფოთებული არიან ჩემს წინააღმდეგ მისი დაწვით. ჰეროსტრატემ მშვენიერი ტახარი დაწვა... ნერონმა მთელი რომი გადაწვა. მე ჯერჯერობით ერთი რეისტავი დავწვი და ამაზე ასე აღშფოთდნენ, მაგრამ დამაცადონ, ჰეროსტრატესა და ნერონს უკან ჩამოვიტოვებ.


მეორე ინტერნაციონალს როცა შეხვდა ნიანგი, სალამო იყო.

— ამაღამ დავშინოთ, — ელაპარაკებოდა თავის თავს მეორე ინტერნაციონალი, — და კარგისაზმარი თუ ვნახუ, ვგებ ვავბედი ფაშისტების წინააღმდეგ კრიტიკის დაძვო.

— როგორი შეხედულების ხაროთქვენ და რას აპირებთ...

— თავი დამანებე, — შემოუტია ნიანგს, რომელმაც დააპირა მასთან საუბრის ჩამოვდება. — ხვალ გეტყვი ყველაფერს, ამაღამ პიზმარში ვნახოთ რა მისიზმრება, დილით მკითხავთნაც წავალ და თუ კი გვიჩიოთ, ჩვენ უარს არ ვიტყვით ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ჯანგი.



— ჩვენი ახალი გამოგონება და მიღწევა: ავტომატი, რომელიც უკიდებს ცეცხლს და ისვრის ტყვიებს, გამოხადებია ყველა ფაშისტურ ორგანიზაციებისთვის. ერთი სმარების შემდეგ თავი ეცვლება და ედგმება ახალი, რითაც სხვა სახესღებულობს. ძვირი არ ღირს, მისი ყიდვა ყველას შეეძლიათ!



გაფრთხილება

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა
შუა უზის დიდი ზღვარი“.
პეტრე გადის ტრიბუნაზე,
არაწყუნდა უცებ ზარი
და სიჩუმე ჩამოვარდა
ვრცელ დარბაზში მყისვე, ხელად
ამეტყველდა პეტრე ჩვენი,
მოხსენება გააჭრელა.

ქალთა შორის მუშაობის
საქმეებში არის სპეცია;
სიტყვით ხნავს და სიტყვით თე-
სავს...

ხალხი თვალზე დანაბეცი

უსმენს პეტრეს. მოხსენების
თემა არის ქალთა შრომა;
ისერის ფრაზებს,

ბრტყელ - ბრტყელ ფრაზებს
ვინ იფიქრებს იმას, რომ მან
სხვების თვალის აახვევად
მოხსენება გააჭრელა,

სხვებს ახალი ყოფისაკენ
მოუწოდა... თვით კი: — ბნე-
ლა?..

იმის პირად ყოფის გზაზე
მიჯირითობს სულ სხვა ჰუნე,
მამაში ცხოვრობს ხელუხლებ-
ლად

მეტამეტე საუკუნე:

რა ვუყოთ, რომ მისი ცოლი
მისებურად შრომობს გარედ,
შრომობს გარედ და შინ ხედება
ნეტერს მტრულად და ძმას მოყ-
ვარედ,

პეტრეს აზრით—სუფრის გაშლა
ევალებს მის ცოლს, ქეთოს,
რეცხდა, დაგვა... ყველაფერი
ქეთომ უნდა გააკეთოს, —

„რადგან იგი ყველაფერი
საქმე არის შოლოდ ქალის“—
ასე ფიქრობს სახლში პეტრე,
მისი წესი ასე არის.

ერთი სიტყვით მის სიტყვის და
საქმის შორის არის ზღვარი
და ცხოვრებას ვერ სცვლის მარტო
პეტრეს სიტყვის ნიაღვარი.
პეტრე ეს ყოფას ომს უცხადებს
ჩვენი კანონდებულება,
გამოფხიზლდი, პეტრე, თორემ
ქეთო მოგცემს შებებულებას.

მეღუფა.



— ახს. ნიანგო, აი თქვენს კი ბიუროკრატიულად მოიკე-
ცით, დაგვივიწყეთ და ქალთა დღე აღნიშნეთ არა ა მარტს,
არამედ ახლა, რამდენიმე დღის შემდეგ!

— არა ახსანგო! ბევრ მათ ბანს, რომლებმაც დიდი ხნაუ-
რით აღნიშნა თქვენი დღე — მარტის. — ვიორკე დღიდანვე
დაავიწყდით და მომავალი წლის ა მარტამდე არც კი მო-
აგონდებოდათ, კი, პირიგასი, მსლავ მახსოვსარ სხვებისავით
არ დაგვივიწყებ.

ასეც ხდება

სულ ჩემს პირად შემოიღეს
ეს ქალთა დღე—მარტის რვა!
აიას წინად ჩემმა ცოლმა
ცხარე ცრემლით მატირა.
გადაკაკლა თვალები და
გადაიქცა წყრომად...
(ათი თუმნის აღარ ყოფნის
თვეში პუდრი, პამაია).

— ცხვირს შიგ ძირში მოგატეხავ
კი არ შემებრალები...

რად არ ხედავს კაცო შენი
დასაფსები თვალები!
გუშინ კაბა შეიკერა
ნინამ, ლიზამ, თამარამ.
შეხ კი ყურებს არ იბერტყავ
არ გიყვარვარ, აღარა!
ყურადღებას რომ არ მღჭიკე,
არიფი თუ გგონივარ.

გაიგე, რომ ესლა ქალი
კაცის თანასწორია!
ახალ მოდის კაბა მინდა
გეტუნები თავიდან
როცა ხათრით გეპყრობოდი,
ის დრო მოკვდა, წავიდა...
უარს ამბობ? გავმორღები,
შენისთავს ბევრია...

გავიფიქრე: „ეს რა მოსდის,
ხო? არ გადააშროია“.

— თავს ნუ იგდებ, ნუ ყვირიხარ,
თორემ შემდეგ ინანებ...
ეს ვუთხარ და საპასუხოდ
გამიშალა სილა მე...
იმის შემდეგ ივდა ვარ,
თან ყბაც მტკივა ძალიან,
დაიწყველოს ეს რვა მარტი.
ეს სულ მისი ბრალია!

სატანა.



თამადა: — მეგობრებო, მელრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ძვირფასი მასპინძელი წმენდის შემდეგაც ასეთსავე ხასიათზე იქნება და ერთ ასეთ წვეულებას სამაყარი-ჩოდ კიდევ გაიხდის!

უპიცოზის შედეგი

(გადმოკეთებული)

ერთი მორწმუნე კაცი გულხელ-დაკრეფილი ღმერთს ემუდარებოდა: — ღმერთო, ძალიან მჭირდება 50 მანეთი და მიწყოლობე, თუ გინდა რომ გირწმუნო და გილოცო!

კომკავშირელმა ყური მოჰკრა მოხუცი კაცის ვედრებს და ეს ამბავი კომკავშირის საერთო კრებაზე განაცხადა:

— ამხანაგებო! აგერ ჩვენს გვერდზე რომ მოხუცი კაცი ცხოვრობს, წელან მე თვითონ გავიფიქრე, ღმერთს ებვეწებოდა: „50 მანეთი მიწყოლობე“—ო. საბრალო, უფიცი კაცია, ის არ იცის, რომ ღმერთი არ

არსებობს! გაკირვებულია, მოლით შეუგროვოთ ფუცი და ვაჩუქოთ.

ყველამ დაიწყო ჯიბის ჩხრეკა და ხელდახელ 25 მ. შეაგროვეს; რაც გაატანეს იმავე კომკავშირელს მოხუც კაცთან.

— აჰა მოხუცო, ჩვენ კომკავშირელებმა; შეგიგროვეთ 25 მანეთი; აბა ღმერთს რომ სთხოვ, არ იცი რომ ღმერთი არ არის და ვერაფერსაც მოგცემს?

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, დაუქნია თავი კომკავშირელს მადლობის ნიშნად.

ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი მიუა-

გაზაფხულდა. მარტის თვეა. ხენა ია თესვის დადგა ხანა. კმარა ძილი, კმარა ფშვინვა, სიზანტე და თავის ფხანა.

აღმასკომის, კოლექტივის და სხვადასხვა თავმჯდომარეს, რომელთა ვნახავთ ადგილებზე ნოქაქანეს და შინარეს,—

არ აცდება ჩივნი რისხვა, ჩვენი წყრომა ოა ჩანგალი— და ამიტომ: მინდერად ყველ კოლმეურნე კაცი, ქალი!!!

ამ წელს უნდა დაითესოს უფრო მეტი ვიდრე წინადა. ყველა უნდა გადავიტყუოთ გამრჯელად და ფოლად — რკინად.

„ვინც არ შრომობს, იგი ვერ სჭამს“— დღეს ეს ჩვენი დევიზია. იმ რა ჰქნა და რას აკეთებს გამოაკვლევს რევიზია,

რომელს ვგზავნი ადგილებზე თესვის საქმის გასაქრობად და მომავალ ჩვენს ნომერში მოგაწოდებთ წყობა — წყობად

ნიანგი.

ხლოვდა დამტვერიანებულ, საღებავ გადაცლალ ხატს და მოახსენა: — გმადლობთ, უფალო, ფულით გამოგზავნისათვის, მხოლოდ ამ კომკავშირელების ხელით რისთვის გამომიგზავნეს ამ შენგან დაწვევლილებმა 25 მანეთი დამაკლეს.

კალმოსანი.



კოლხიდის ქაობის ამოშრობა წარმატებით მიმდინარეობს. ქაობის ნაწილი უკვე ამოშრობილია, რაზედაც გაშენებულია, მანდარინა და სხვა კულტურა“.



მე არ ვიქნები ღვამიჩავა, ბიჭი ერასტი, თუ არ ვაქციე ეს ჭაობი ხუთ წელში „ახთე!“ განუწყვეტელად ბაყაყები სად ყიყინებენ, უმჯობესია იქ ყანები რომ ბიბინებდენ! აქ გავაშენებ მანდარინას, ღიმონს, ფორთოხალს, გვერდში მივფურგავ ვაშლს, მსხალს, ატამს და კიდევ სხვა ხილს! რომ დავამთავრებ მე ამ საქმეს, ფრიად რთულს და ძნელს, ფოთლები მაშინ დამიდგამენ მჯერა ასეთ ძეგლს!.

(ნაწამლაკი რომანიდან, რომელიც არ დაიგვიძვება)

— მაშ ასე, მშვიდობით! აღარ მიწ და შენთან ცხოვრება, მეყო 7 წლის ტანჯვა-წამება! — და ჩემი ცოლი და ნუნუკი ელვის სისწრა: თ გავარ და ვარედ. თვალი მხოლოდ კოტიკის შუბის კალთას-ლა მოვკარი, რომ ღრიათვისაც ჩემს ნუნუკის ჯერაც არ მოეწყვიტა ფასი „2998 მ.“ (ე. ი. 3000 მანეთი — ამბობენ 2 მანეთს პაპიროსის ფულს უბრუნებენო)...

მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრი იყო! ცოლი მეკარგებოდა და ვიცოდი რა მისი უშიშარი ხასიათი, უეჭველად თავის მოსაკლავად გავეჩანებოდა... არც კაცი, არც ვაცხელე და ქუდმოვლეჯილი გავეჩანე მის საძებრად...

— როგორ გეკადრებათ, ამხანაგო, საწამლაკა როგორ გავცემდით! — მაშმვიდედა მე-ნ აფთიაქის რეცეპტარი. — ნუ სწუხხართ, თქვენი ცოლი საღამოზე ისევ შინ დაგხედებათ...

როცა ჩვენი რაიონის აფთიაქებში ასეთი პასუხი მივიღე, ვერის დამართზე დავემვი წ.-ჯვრის აფთიაქისკენ.

ხილზე საშინელი რამ გავიფიქრე, ყელში რალაც მომაწვა, ვთქვი — ნუ თუ ჩემმა ნუნუკიმ მტკვარში ბანაობა განიზრახა? — და მომაგონდა, თუ რამდენ წელიწადს ვაგროვებდი კოტიკის საყიდელ ფულს. თვალი მტკვრის მოყინულ ზედაპირს მოვაგულე.

კარუსელის ჩხებით ამოვიპარე. ვშიშობდი — მთავარ ქუჩებზე ჩემი სიღერო არ შემხვედროდა. როცა ჩემი ოთახის კარები შევალე, ყველაფერი გათავებულყო: ნუნუკის თავი მოეწამლა და დასარეცხ თეთრეულევიტ შუა ოთახში გაშლილიყო.

მაგიდაზე წერილი დამხვდა: „საქვარობის მე-4 მალახიაში ქათმის სოუზი ვიყიდე... საწამლაკის გამშვებს აფთიაქებში ნუ ეძებთ... შუბა დედამ წაიღოს... მშვიდობით... შენი ნუნუკი...“

დასკილი.

მომქმედი პირნი:
კანანოვი სანდრო—რაიტორს და-
ხურული მალაზია № 19-ის გამგე
დოლიძე—სა... კომისიის წე-
ვრი.
ნიკიფოროვი—სადუქნო კომ. წე-
ვრი.

მომქმედება იწყება 7 იანვარს და
გრძელდება 10 იანვრამდე.

სანდრო—ამხანაგებო, მიღებულია
დიდძალი მანუფაქტურა და ფეხსაც-
მელები მომხმარებლებზე ვასანაწი-
ლებლად. ამიტომ ჩემი წინადადე-
ბაა: ჩვენ თვითონ ას-ას მეტრი წავი
ლოთ, ხოლო ნაცნობ მეგობრობსაც
ვარგოთ 40-50 მეტრამდე. რაც შე-
ეხება დანარჩენ მომხმარებლებს, თუ
დაგვიჩნა საქონელი, იმათაც მიე-
ცეთ ხუთ-ხუთი მეტრი.

დოლიძე—შენს პირს შექარი სანდ-
როჯან; ასი მეტრიდან ოცი რომ გა-
ვიდოთ, თავნს გავანაღლებთ და ორ
მოცი მეტრი კი მოგება დაგვრჩება.

ნიკიფოროვი—ტავარიშ, ნელზაა
ბუდიტ ერთი ხუტი ცხვილი, ბა-
თინკა, რომ მომცეტ რაზნი-რაზნი
ნომერი?


სანდრო—ბათინკა მოენა, სამი
ლლაენი მანუფაქტურაა, თორემ ბა-
თინკა სკოლკი ხოჩიშ ვაზმი.

დოლიძე—ამხანაგებო, ხომ იცით
ნათქვამია: სიფრთხილეს თავი არ
ტკივაო, ჩვენ ფრთხილად უნდა ვი-
ყვეთ, თორემ თუ შეგვამჩნიეს, გამ-
სახლი აქეთ დაგვრჩება.

სანდრო—ამხანაგო დოლიძე, შენ
მართალი თქვი; ჩემი თანაშემწე მა-
რო ცოტა არ იყოს აქტიური ქალია
და მას უნდა შოვერილოთ. ამას წი-
ნად ერთმა ქალმა ერთი ბოთლი
ღვინო მომიტანა ფეშკაშათ. მარომ
რომ ეს ამბავი გაივო, ერთი ამბავი
დააყენა.

დოლიძე—მერე შე დალოცვილო
მალაზიაში ცოტა გაქვს ღვინო, რომ
სხვისი მოტანილი არ დალიო!.

სანდრო—იცოცხლეთო მალაზიის
ღვინოსაც ოზრად ველაპავ, მაგრამ
პუქთი ღვინოც მიყვარს. მე, ამხანა-
გებო, მყავს ისეთი მომხმარებლები,
რომლებსაც საქონელს სხვაზე მეტს
ვადღევ. სამაგიეროთ ისინიც ღვი-
ნით და სხვა რამეებით, მიმასპინძ-
ლდებიან. ხომ გაგიონიათ „ობმენ
ტოვარ“.




ვერ ამთავრა ეს შეხობი თვით ნიკოლაძემ,
ხელი შეუწყო ამ საქმეში იუზუც ნიკოლოზმა!
მენშევიკებს ხომ სულ არ ჰქონდათ ამისი თავი,
მათ ხელს უშლიდა მეზობლებთან სულ მუდამ დავა!
სამღვდელოებას სრულებით არ ესაქმებოდა,
მათი მუცელი სიმსუქნისგან ისეც სკდებოდა!
აღარ ვყოფილვარ მაშინ გ იშა მე მალანია,
თავზე არ შემარჩეს დარჩენილი რაც ბალანია!
გადაკეთება მე ამ საყდრის რაკი ვითავე,
ამ წელიწადში მი მს სპქმი არ დავათავო!

დოლიძე—მაშ ხვალ ჩვენი ბაირა-
მი იქნება რაღა! მაგრამ ძალიან სი-
ფრთხილე გვმართებს.

სანდრო—ერთი შენც მოგცილია
რაღა! ღვინის სმის გეშინია? ამას
წინად ისე დავითვერით, რომ თურ-
მე ქუჩაში მიმავალ ქალებსაც დაუ-

წყე ხელებით ფათური და ამიტომ
თურმე მილიციელმა კომისარიატში
მიმათრია, მაგრამ მე მაინც ჩემს ად-
გილზე ვარ და არც არავის მოუხს-
ნივარ, ვინაი-დან იქ სამმართველო-
ში დიდი კაცი მყავს



„ნიანგის“ № 2-ში მოთარგმნებულ „ლია ბარათის“ ავტორს, აბრამე „მე აფი ხარის“. „მოკრეწენს“ ბარათე-ქანის“ და სხვათა და სხვათა ავტორს ამხ. ს. თ.—იან

წავიკითხე თქვენი უსტარი, ამხ. ს. თ.—ია, და, ნება მიბოძეთ, პასუხი მოგახსენოთ მუხლა-მუხლაოდ.

თქვენ ბრძანებთ: „თანხმად შენი მომართვისა მკითხველ-ბისადმი, მე წავიკითხე რომანი: „მამა და რაქინა“.

მოგახსენებთ. მომართვა—ჩემი რომანი „ქვა და რაქინა“ წავიკითხეთ-მეთქი, მე არაღად დამიწერია. სად მიავიციე ასეთი მიმართვისა?!

თქვენ ბრძანებთ: „მითხრებად იმისა, რომ მის ვადაკითხვას სიდიდის გამო ძალიან დიდხანს მოვუწიდი, მაინც ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ან წამკითხველების რიცხვში მეც ვიქნები“.

მოგახსენებთ: თქვენი მაღალი ბანი მე ასე მესმის: რაღაც ამაზი და უზარმაზარი?!

დაგიწერია. მე ერთი გაბოყნადი ისეთი თავგადაღებული კაცი, რომ წავიკითხე ეს წიგნი, თორემ რომელი ასი გადარეული იქნება საქართველოში, რომ ამხელა წიგნის კითხვაში დრო დაჰკარგოსო.

ამის შესახებ კი შემდეგი შემიძლია შემოგვტყობო:

1) ჩემი წიგნი დაიბეჭდა შარშან მაისში, თუ ივანობისთვის. თქვენ მისი კითხვა მოგივრებოთ, როგორც თქვენ გამოგვეყენებულ წიგნის ქორანიკონიდან ჩანს, ამ წლის დამდეგს. ბარე ნახევარი წელიწადი მონდომებისათ.

კითხვა კითხვას გააჩნია: თუ ყველამ ასეთი მუხლის სიჩქარით იკითხა, მაშინ, რასაკვირველია... მაგრამ... თქვენ ალბად დრო ცოტა გაქვთ. რა დასასიხისია, რომ ს. თ.—იან მიიტყდა მანქანაზე ბეჭედი არ ჰქონდეს, პავლე საყვარელიძის რომანის წასაკითხავად ვერ მოცალდოს.

მესმის, მაგრამ თქვენ რომ დრო არ გვრდებოდეთ, ამ ჩემს კისერზე რატომ ამსერეთ ნაღას?

2) წავიკითხა თუ არა ვინმემ და რამდენმა წიკითხა, თქვენს გარდა რასაკვირველია, უნდა მოგახსენათ: ქართულ წიგნებს ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგების მეტი მკითხველი რომ არ ჰყავდეს, მაშინ ათიოდე ცალის დაბეჭდა სრულიად და. ხავსებით საკმარისი იქნებოდა.

მაგრამ არიან საქართველოში მკითხველები, რომლებიც ნაწევარ წიგნებით კი არ იცნობიან წასაკითხავი წიგნის გარშემო, არამედ წიგნს აიღებენ ხელში და წიკითხავენ.

კითხულობენ, დამიჯერეთ, ამხანაგო. გნებავთ საბუთი? მიაკითხეთ სახელგანს.

უპასუხე, ერთი გაფრთხილება: სახელგანში დაწერე, მირა ამხ. ბარონ ბიბინე-შვილს მიაკითხეთ-თქო, ის კი არ დამიწერია. (ამხ. ბარონს საამისოდ არ ეცლება, მართა მ. სამონინიძისთან ატეხილ დავიდა-რებას — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ — რაღვინი დრო უნდა!). ამას მიუკრეთ ყურადღება. პირდაპირ საწყობის გამგეს ჰკითხეთ:

ა) რამდენი დაბეჭდა ჩემი წიგნი? ბ) რამდენი დარჩა გასაცემი?!

ამის შედეგად, ცხადი იქნება, რომელ სათვალავში მოჰყვებით თქვენ თქვენი ღია ბარათით: პირველ ახში, თუ უკანასკნელ ათულეებში.

არ იქნარებთ ამ საბუთებს? მაშინ, თუ გასჯებით იმდენს და მო-კიდებით ჩემსას (მისამართი ჰეავკავადის

ქუჩა № 1. ზარი არ რეკავს, კარებზე მოაბრახუნეთ). და მე ვაღაგვიტახე ჩემი წიგნის მკითხველების წერილებს. ცოტა რამ საგულბისხმოს იქაც ნახავ. 4)

თქვენ ბრძანებთ: „მე მხოლოდ მაშინ გამოვტყვამ ჩემს აზრს, როდესაც ამ რომანის ვაგრძელებაში მარგუნებ სიტყვას.“

მართალია, მე არავინ მომიკლავს, არც არავის მოვუყვარავ, არავის დაესხმივარ, არავინ დაესხმა თავს, არც ვაშუშობა და-უწყაშებიათ ჩემთვის, მაგრამ, თუ ყველა იმათ, ვისაც რაიმე ახლო, თუ შორეული მონაწილეობა მიუღიათ ცხრასხუთი წლის რევო-ლოუციამო, ან სისხლის სამართლის დანა-შაუღი ჩაუდენიათ მთელი დღე-ღამეების და საათების განმავლობაში ალაპარაკ რომანში, ბოლოს მეც მერგება, ალბად. სიტყვა“.

მოგახსენებთ: უკვე ყველა იმათ, ვისაც რაიმე „ახლო თუ შორეული მონაწილეობა მიუღია“ და სხვ. თუ ყველა იმათ უკვე მიუღიათ სიტყვა და ულაპარაკებიათ „მთელი დღე-ღამეების და საათების განმავლობაში“ და თქვენ კი აქ ამ ყველაში არ გამოირეულხართ, მა-შინ ან მე მომსგლია მარცხი და ყველა კი არა თქვენი გამოკლებით სხვებისათვის მი-მოცია სიტყვა, ან-და იქნება... მაგრამ განა საეჭვოა იგი, რომ თქვენ არამც თუ შორი, ძალიან ახლო მონაწილეობა გაქვთ მიღებული ცხრას ხუთი წლის რევოლოუ-ციამო!

მაშ რაშია საქმე, ამხ. ს. თ.—რია? საქმე ისაა, რომ მე ცხრას ხუთი წლის რევოლოუციამო არაფერი დამიწერია, არც ერთი ის წიგნი, რომელიც გამოვიდა ამ უკანასკნელ წლებში ჩემი დაწერილი ცხრას ხუთის რევოლოუციას არ ეხება 4).

მაშ რატომ გწყდებიათ გულად, სიტყვა არ მერგოთ?!

არს მკითხვით თურმე—როგორ ხარო? ბალი ათშაურად არსო, — მიუგო თურმე მან.

სადაც სადაო. მე რეაქციას ამბავს ეწერ, მე ცხრას ამბავს ვწერ, კატორლის ამბავს და სხვას. თვითველ სტრიქონიდან ეს გამოჰყვრის, აქ კი მუტუბებით: ბალი ათ შულ რად არისო... იყოს, მე რა მესაქება!

არ მომწონს და ვერ გამიგია, რაც ჰქვია ეს „სიტყვას მარგუნებ“.

მე არ დამიწერია ის, რაც მავალითად „მკითხველი საუკუნის ნაძილზე“-ს ავტორმა. ანდა ამხ. შამშე ლევაჟამ ჩემი ნაწერი მე-მუარებში არ გახლავთ. მემუარში შეიძლე-ბა გამოვიდეს და შეეფაროს ისეთი რამე, მაგრამ რომანი „სიტყვის რგებს“ წესით არც დაწერილია და არც დიწერება.

მე ვიღებ ტიპებს და პირებს და ამ მიდ-გომით სწორედ ის უფრო საინტერესოა. ვისაც არ მოუკლავს, ან თითონ მოუკლავთ ან დასხმია თავს ვინმეს, ვისთვისაც ან ვა-შუშობა დაუწყაშებიათ, ანდა, თუ გნებავთ, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენია, ვრდრე ის, ვისაც არაფერი ამის მგავსია არ ჩაუდენია და არაფერი ამდაგვარი არ გა-დაბდომია თავზე.

დაბოლოს უკანასკნელი მუხლი თქვენი წერილის.

აქ მე მკონია უბრალო შეცდომაა. პირ-ველ დაწყებითი გრამატიკის კანონებს ვინც დაეცვა კითხვის დროს, ის ჩემს დაწერილს ისე არ გაიგებს. როგორც თქვენ გაგი-გიათ! 5).

არსებითად კი ამ გარემოების გარკვევას აზრებითად მიიშენლობა არა იქვს, თქვენ

ამ გარემოებით ტყუილა შეგაფუხებით თა-ვა. მე ვიცი, რომ თქვენ ათ იკადრებით სა-რუქრების მიღებას, აოც გააკადრებთ.

დაასრულე, თქვენი „ღია მართა“ შეიძ-ლენა სრულებითაც არ იყო იმ განზრახვით დაწერილი, რომ ის დაწეროს მინცად მაისც პასუხის მიღება მოწყურებოდეს. ვი-ცო, რომ ასეთი „ღია წერილები“ გულის მოსაოხნელად იწერება, მაგრამ სადაც მიუ-ღვი-მლობის სახობი დაკარგული არ არის, იქ ყოველთვის ახსოვთ ერთი მატარა ანდა ხა: თქვენი თქვენი და ჩემი მოსამინე“.

დავშობი თქვენი მარადის პატივისცემული პაპლე მინაქლინს-ქან სანუპარქლიქან

ჩემი პასუხის მუხლა-მუხლაოდ

1) ამის ძებნაც არ დამკარგებია: წიგნის მეთრე გვერდზე არის შავი თეთრზე მევა რუნაის ასოებით დაბეჭდილი:

„ეცტორი დაბეჯობებით სთხრავს ამხანაგ მკითხველებს გამოხატვან თავიანთი აზრი ამ ნაწაროების შესახებ. პირველი ასი მკითხველი, ვინც მოისურვებს რომ აიღებს თავის თავზე ვადეგულებას და წერილობა ვა-ცნობს ავტორს თავის აზრს ამ ნაწარმოე-ბის შესახებ, ვიღებს უფასოდ რომანს „ქვა და რაქინა“.

ჩემი ვაგებით ეს არის მკითხველებისად-მი მიმართვა. მით უმეტეს რომ სათაუ-რიც ასეთი იქვს: „მკითხველთა საყურად-ღებოდა“.

მე ასე ვაგივე ეს. და თუ სხვამ ისე გაი-გო, თითონი ბალი ათშაურათ არისო, — ეს ჩემი საქმე არ არის!

2) წიგნზე არ შეიძლება ითქვას „ამხანა“ და „უზარმაზარი“, მაგრამ რვას ვეგრადია ნი წიგნი რომ დიდად ჩათვლებს-ეს უდა-ოა!

3) არც ბარონ ბიბინეშვილის და არც სახელგანობის საწყობის გამგის შეკითხვა არის საქირო. — ისედაც კარგად ვიკითხე, რომ დღეს ხალხს დიდი მყოფეგლობით უნარია-ანობა-აქვს და რასაც წააწყდება—ყველა-ფერს ყიდულობს!

4) ცხრას ხუთი წლის შემდეგ დაღვა შავი რეაქცია, თუ ამ რეაქციის დროი დელ ამბებს ამ რევოლოუციასთან კავშირი არ ჰქონდათ, მაშინ მართლაც ბალი ათშაუ-რად ყოფილა და ვე არი!

5) დავიკვით პირველ დაწყებითი გრამა-ტიკის კანონები და ცოტა ლოლიკის და ფიზიკის წესები და ენახოთ — რა გამოქა:

თუ მკითხველი „ქვა და რაქინა“-ს ხელში არ აიღებდა, ის ვერც წიგნის მეთრე ვეგრ დღე დაბეჭდილ შემოსენებულ მისადმი მიმართვას წიკითხავდა და ავტორის დაბე-ჯითებით თხოვნას ვერ შეასრულებდა.

ამხანაგად: გრამატიკულად, ლოლიკურად და ფიზიკურადღე მას ეს წიგნი უნდა ჰქონ-ნოდა! ამის შემდეგ რაღა საქირო იყო მისთვის წიგნის ვაგხანა, თუნდაც უდა-სლოდ?

სწორედ ასეთ რამეზე იტყვიან — ბალი ათშაურადო!

მაგრამ ახლა ეს თქულებაც უნდა გამოი-ცვალოთ, გინაიდან ჯერ არ ვიციოთ — ჩე-ნი ბალ-ბოსტანკავშირი როგორ დავგი-ფასებებს ბალს მომავალ გაზაფხულზე!

ს. თ.—იან



წერილები გორიდან (არ გვგონოთ შორიდან)

ამბ. ნიანგო, არა ჰგონია, რომ ვიყო საყვედურის ღირსი, ვინაიდან ძალიან სადა და ჩვეულებრივი ამბების წერა სანიანგო საქმედ არ მამჩნია და ამიტომ არ ვწერ;

რომ ვთქვა ასე: სანამ გორიდან დაველაპარაკებოდე ვინმეს ცხინვალში, ამ 32 კილომეტრს ფეხითაც გავივლი-მეთქი, სრული სიმაართლე იქნება, მაგრამ ასეთი საქმე ტფილისის ტელეფონისტებმაც ემართებათ, პათომიასს და სხვასაც.

ამ წერილს, რომ გორის დამზღვევი კასა წაიკითხავს, ტყვის: ყოჩაღ, სიმონ-ალა, სამი წელიწად არევატიზმები აქვს, არ გავგზავნეთ წყალტუბოში. მაგრამ თითონ წასულაო.

წყალტუბოში არ ვყოფილვარ, მაგრამ სწორედ რევატიზმებიანი ფეხებით უფრო ადრე მივა კაცი გორიდან ცხინვალში, ვიორე ვინმეს გამოიძახებდეს ტელეფონით.

გორის ქალაქის ვიოპ. გამგეობის თავ-რე სინა ბლუაშვილი, ყოფილი მზარეულია და მეტულმა ისე გააღიდაგულა, რომ ტურების საქმეზე ლაპარაკს აღარ კადრულობს, ან უკეთ ვერ იცის მათთვის, მაგრამ რამდენი ასეთია, ყველაზე ხომ ვერ გილაპარაკებთ!

ნათქვამია: სიმართლის მიქმელს ცხენი შეკაშული უნდა ჰყავდესო. ეს ანდაზა ახლა მოძველებულია, ან ვინ იცის შოფერების აპარიზებს, ან ახლანდელ მატარებელს, იქნებ შეკაშმული ცხენი სჯობდეს. ალბად ძველად ნამდვილი ცხენი ჰყავდათ მხედველობაში და არა „სოიუზტრანსის“ დამშეული ცხენები. ასე თუ ისე, ვიტყვი სიმართლეს და არ-სადაც არ გავიქცევი.

ამას წინად „ხიანგში“ ვყოფილა, რომ გორელმა ნიკო მთვარელიძემ თავის კაბინეტში შემიყვანა მეთქი. გავიგე, რომ ეს სწყუხია, უნდა გავ-მარტო, რომ ყველას კი არ უყუროს ეს კაცი. საერთოდ, ცუდათ ჩაცმულ და კარგად ჩაცმულ კაცს სხვიდა-სხვა ხასიათზე რომ ავლებიან, ეს ვინც არ იცის, და ამ შემთხვევაში დასახელებული მოქალაქე გამოიხატის არ შეადგენს.

ტფილისის ბანკის დირექტორმა თუ მისამ მოაღვიღემ (გამორკვევა ველარ გავებდემ) მოქ. გრიგოლიაძე, ისე შემიყვინა: ეს საქმე მე არ მეხება და ნუ მაწუხებო, — რომ ვიფიქრე ან მე ვგონავარ ყოფი, ან თითონ არის წისქვილიდან გამოსული, და ხმაურობის გავლენის ქვეშ ჰყვი-რის-მეთქი.

ტფილისის შემნახველ საღაროს წარმომადგენელმა ამხედ-დამხედა და პასუხი ძლივს მადირსა. რა ვქნა, ძმაო, კარგ ჩაცმა - იახურვას კო-ოპერატორებთან კარგი ნაცნობობა, და მღარირიში უნდა. მე კი ამასი უნარი და შნო არ გამაჩნია.

ისე ხშირად მინახავს, მოვა კო-ოპერატივში ან „საქაპრობაში“ სამრეწველო საქონელი, მე მეტყვიან — დამზადებაზეაო. ისეთივე მოქალაქე, როგორც მე, რომელიც ჩიტივით ცხოვრობს „არც სიეთს, არც მკის, არ არის მხენელი“ და მოხსენებებს აკეთებს დამზადებს შესახებ, უხახვოდ და უკარტოფი-ლობა გამოაძვრენს დამზადებისთვის მოსულ ფართალს. დავსახელოთ ახ-ლა რუისელები, ეწყინებათ ტყაი-ველებს, დავწერო ტყვიანობა. მეჯვრისხვევლები დამემღ-ჩვენც გამოგვამწეურეთ; ის

ვალში გადმოვგზავნი ამ ხალხის ს-ხელს; გვარს და მამის სახელს.

მგონი, ამბ. ნიანგო, გასაგებია. რატომ ვერიდები კაბინეტში სია-რულს გადიდკაცებულ ხალხთან.

თუ ვინმეს ჩემთან დაუორჩეს საქ-მე: ყველას ვუცხადებ — ჩემს მაგი-ეო მოელაპარაკოს საკომისიო მალა-ზიაში რომ ტყავის პალტოა, უჯრუ-დანი კოსტიუმი, შეროს ფეხსაცმე-ლეზი, და პასუხიც მათგან მიიღოა.

ყველაფერი ეს მინდა მეცვას, მაგრამ... თვალი დაუდგეს „ნაკლე-ბულობას“, როგორც გორში იტყ-ვიან ასე.

სიმონ-ალა.

ვინ არის?

(რამოკვედი გზრია)

წინად მეფის დროს იგი ღმერთს უვალბოდა ჰანგებს და ამ გზით ასრულებდა თავის დასახულ მიზნებს.

რევალიუცია მოხდა. არ იცის რა ჰქნას ახლა. ჯერ შედგა. მაგრამ მალე კვლავ ძველი განახალა.

დავითნი და ფსალმუნნი იკოდა სულ ზვირად; „მამაო ჩვენოს“ თქმაში ნღვდელს ჩააჯენდა ხშირად.

მოვიდა ჩვენშიც მალე წითელი ოქტომბერი ვარაშა... (ო, წამოძვლა) უცხად იცვალა ფერი.

ახლა ის ღმერთის ნაცვლად ოქტომბერს უზღერს ჰანგებს, (მასი აქვს, მოძახილი), ახლა მას ასე არკვებს.

ოცდაოთხ წელში, როცა წამოჰყო ძველმა თავი, ჩვენ დაგვიმალა იგი და აცნო მტერს ამაგი.

გარიცხეს პარტიიდან აგი ოცდაცხრა წელში... ძნლავ აღიდგინა თავი და გაიმართა წელში.

შემდეგ მიეწყო სხვაგან (აქ მას იცნობდა ყველა). ისევ გადაჰკრა ღვინო და ყელი ჩაისველა.

მაგრად რომ შეზარბოშდა, გონება აერია; დაავლო ხელი თოდს და მერზომლებს დაერია.

გზაში დაუხვდა ნინას. (კომკავშირული არის); შეიძრა შუბლაძეზე მიღამო, მთა და ბარი.

ერთხელ მას გიორგიას, კვლავ მიუვიდა ცოფი; მირიანს წაეჩხუბა, მოვიდო მზარზე თოფი.

კიდევ რამდენი ცოფია... (ვინ დათვლის ქვიშას ზღვაში). მის გვარს გაიგებო, როცა მოყვება პარტუმენდაში.

ნაბ. ისაევს



— ცოტა კიდევ დაიცადეთ... ხომ ხედავთ ჯერ კიდევ სიცივეებია და შეშა როგორ უნდა დავამზადოთ!

სულგუნები ხობიდან

(ი. ზრიშაშვილის მიხედვით)

ერთი... ორი... სამი...; ბიჭოს! წერილია, — ჰო, ღმერთმანი, —
 საშასხურში მიმავალმა, წამოვიძვრე ხელთათმანი;
 იცი! დილით იმ უსტარმა გამახარა სხვანაირად,
 ის არ ჰგავდა ჩვეულებრივს, ის არ ჰგავდა და აი რად:
 დედის სიტყვამ საიღუმლოდ თითქოს ყურში ჩამჩლოჩლოა;
 „გაგზავნე ცხრა სულგუნი ყველა ჭყინტი და ფუნჩულა“.
 შეეტრიალდი და ფოსტაში გავიჭერი ჩემებურად.
 აღრე იყო, გარეთ რიგში მუნ საბნები დაეხურათ.
 რას ვიზამდი, რიგის კუდში დავდექ, ღონე მოვიკრიბე
 ვიდრე კარი გაიღო და — ავირბინე მაღლა კიბე;
 მყისვე შევნიშნე დაგროვილი ამანათის მაღალ მთაზე
 ილო ჩემი ამანათიც ფაფუქ ნივთის ყაიდაზე.
 შუბლზე ხვითქი გადამესხა სიხარულით დანაფერი,
 „ფართოჩკაში“ გავუწოდე მე უწყება მწვანე ფერი.
 ვაღმაშივდეს ამანათი — დისაგან მონადირეები;
 ვადავშალო, შიგ აღმოჩნდა — ერთი ბოთლი ტყეშის წვენი.
 მაგრამ ყველი! ყველი! ყველი! შიგ არ იყო, შიგ ვერ ვნახე.
 ავქციდინდი და ზღუტუნით რიგი მკერდით გადავლახე.
 მოვიარე ირგვლივ ფოსტა, სარდაფი და მისი ფსკერი,
 არ დამძვვეს, რადგან მაშინ აღარ იყო ჩემი ჯერი...
 არ მიშვებდნენ, მაგრამ გამვის კაბინეთში შევიჭერი.
 თიჯან ნახა, რომ ტომარა არსად იყო დანაკერი.
 არ სჯეროდა, რომ შიგ ყველი აღარ იყო, ვერა ვნახე, —
 და დავიწყე გულსაკლავად მუნ ბლავილი, სიცხატაზე.
 ვლულულულებდი: რიგში დგომამ ჩამიაროს უნდა ტყვილად?
 აფელღდი და მაგიდაზე მუჭტი დაჯარი ორი, წყვილად.
 აწრილდენ და შეშფოთდნენ. ხმამ დარბაზი დაირბინა
 — შეშლილხარო, — შიასუხა, მერე თარსად გამიცინა.
 რა შეატყო: ამან უფრო გამატარა და მეწყინა,
 დამიყვავა, როგორც გიჟს და გამომკითხა: ქუჩა... ბინა...
 დედა ჩემო! არა გჯერა? მოიპარეს! ჰო, ღმერთმანი.
 საპროტესტოდ იქვე ვბერტყე ჩემი ძველი ხელთათმანი.

პოლ გაიღე.

მინაწერი

შე არ მინდა, გრიშაშვილმა ეს გაიგოს სხვანაირად
 მისი რითმა მე აქ ქარბათდავითრიე და აი რად:
 უსულგუნოთ ხელში შემჩრა მჭადის ტყვილი მე ბათმანი,
 სულგუნები ვინ შეჰყლაპა, აღარ ვიცი, ჰო, „ღმერთმანი“;
 სხვა რა მეჭა? ვერვინ ვკოვე შემბრალებ და თანაშერბობი,
 ვთქვი: ქურდის აღარ დაეღევა, ჰვეყანაზე მჯობნის მჯობნი.
 სხვა რა მეჭა? მე არა კარ ყველის ქურდის გამომკითხი:
 ორში ერთი ღნდა იყოს: ტფილისი, ან დაბა ხობი.
 იმ დილიდან სულგუნს ესტერი, აღარ შემჩრა თავზე თმანი,
 რადგან სულგუნს ამ ზამთარში დავუმატე ხელთათმანი.

პ. ზ. — მ.

ცხემლის-ხილი

(სენა სოფლსაგოში)

სოფ. აავრე: — როგორც თქვენს
 ვანჯადებიდან ჩანს, თქვენ მივი-
 თვისებრივთ კ. ჯინქარადის ღორი.
 პავლე: — ცდებით აშხ. თავმჯდრო
 მარე, ღორის რჯულზე ვიარო, თუ
 ღორი ჩემს არ იყოს, მოვასხენებთ,
 მე ამ ხნის კაცი ვარ (წვერზე ხელს
 გაისვამს) დამერწმუნეთ, ამ წვერის
 პატრონი სიცრუეს არ ვიტყვი, ჩემს
 ქალარა წვერს ღორზე არ გავცვლი.
 ხმები გარედან: — წვერს ღორი
 სჯობია...
 პავლე: ოთხი თვის წინად გავდე-
 ნე ტყეში ღორი, მაკედ იყო, იან-

ვარში წვევილი საძებნელად, მარა შე
 ნი მტერი, ჩეიყოლაპა. ვის არ დავსწა-
 მე ცილი, პატროსანი მეელიც კი და-
 რჩა ჩემს მიერ — შეურაცყოფილი,
 სწორედ ამ ძებნის დროს ჩემგან
 შეიღი ვერსის მოცილებით ჯინქა-
 რადის ეზოში ვნახე ჩემი ღორი. ვი-
 ცანი ჩემი ჭრელი ღორი, მანაც მი-
 ცნო, ღრუტუნით მანიშნა, რომ ჩემი
 ნახვა ვაუხარდა, მეც გამეხარდა.
 პატრონიზა არ მიკითხავს — გავი-
 დენე და სახლში მივიყვანე.
 თავრე: — შენი ღორის ნიშნები
 როგორი იყო?..

აკაკი წიგწივადის ბაიასტი

„ვაკეში ვილცე წიგწივადე
 ვახსნა „არტელი“, ფარულად
 ყიდულობს ჩიის ფოთოლს და
 მუშა-ქალების ექსპლოატაციით
 სპეკულიაციას ეწევა“.
 ჰარალო, ჰარი, ჰარალო...
 ჰაი ბალა ბალამ, ბალაო...
 ისეთი საქმე მოვაწყვე
 კი არი ხათბალოა.
 მაგრამ თუ კაცი ფხიზლად ხარ
 გივარგა მოხერხებაო,
 საქმეს ბოლომდის გაიტან,
 ვერავინ შეგეხებაო.
 ვაკეს „არტელი“ მოვაწყვე
 კიდეც მოვანთლე „ხვავათო“,
 მას შემდეგ ისე გავკეთდი
 ვი ვლირვარ სანახავათო.
 მოგება ერთობ დილია
 სულ ჭეიფი მაქვს, ლხინიო.
 და კიდევ კარგი ამ სეირს
 არ ყურობს მუშგლეხინიო.
 შიგ თავმჯდომარედ ცოლი მყავს,
 მის მოადგილეთ ცოლას და
 დაწინაურდა საწყალი
 ჩაის პაჩკებს რომ წონიდა.
 მუშა ქალებსა ვქირაობ
 ღდინს ვაცლი ყველას დღიურად.
 ვითომდაც ჩვენ არტელი გვაქვს
 და ეშრომობთ კოლექტიურად.
 არც სპეცსამოსი იმათთვის
 და არც არაფრის მარაგი.
 (ასეთ რამეებს რომ ვდიო
 წომ დიდარიბდა ავაკი!).
 ხალხი რომ დავიჭირავე
 არც იმის მქონდა ნებაო,
 მე რომ კანონებს ვუყურო
 შემომაკლდება კვებაო.
 ახლა კი ყველა არტელის
 გატარდა რეგისტრაცია,
 დღემდის კი კარად ვცხოვრობდით
 რა მეშველება აწია.
 რომ დამისურონ არტელი
 გამიგონ კომბინაცია...
 ნიანგმა ხელი წამავლოს
 არც შენ ხარ კარგი კაცია!
 ბაიათის მომხენი ტუხია.

გრიელი.



ნიანგის საკბილო

ეროვნული
გზაობა


სოფ. სორში

(სენაკის რაიონი)

„სოფ. სორში (სენაკის რაიონი) კოოპერატივის გამგე დავით შამათავა უხეშად ეპყრობა მომხმარებელთ, საქონელს ძვირად ყიდის, კუთვნილ ნორმას ამცირებს, სავაჭროს გვიან ადებს და ვადაზღვე კატავს“.

წუნკალი.

ვავა ჯიმა, ვავა დავით შამათავა, ცოტა ხანში ალბად გამსახლისკენ წავა!



ძუმგლები ისიხე ნიანგისა ბრძანება, უეჭველად გვაცნობენ ეს ნუ დაგეზარება გამსახლისკენ დავითი როცა გაიგზავნება!

გამგის სიმღერა

„შორაპნის კოოპ. გამგე გლებობი-სათვის მიღებულ საქონელს თავის ძმა-ბიჭებს აძლევს.“

ბ. კილა.

შორაპნის ებოს გამგემ სთქვა მიყვარს ქეფი, ლხენაო, საქონელს სწორად ვარიგებ! ხორცი მ... მიჩინაო!




ფეხზე მკილია წვერები, ეშმაკმაც შეაჩვენაო! ძმა-ბიჭებს ვენაცვალები, ერთად ვქეიფობთ ჩვენაო!

გაღლა 1

„მაღლაკის (ჭუთაისის რაიონი) არტელ „მოწინავე პირველის“ თავმჯდომარემ არტელის წევრებს მიერ გამოწერილი ჟურნალ - გაზეთები გაასაჩა სასადილოა, რისთვისაც არტელის წევრებს ხუთი დღის განმავლობაში არ მიუღიათ ჟურნალ - გაზეთები.“

კიკო.



არტელის თავმჯდომარეს ეჭირვება ლავამი, ვინც ებრძვის განათლებას ის არის დასაბამი!

ფაშტიანი

„მარტვილის რაიკოოპკავშირის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ფაშტიანი თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოთ ეპყრობა, რის გამო ხშირად იკარგება საქონელი“.

ანკისი.

„უენი ბესა ფაშტიანი კაცი არის „საქმიანი“, (თუმცა საქმეს არ აკეთებს ჭაბი იცის მაღიანი!).“

ოღნი არიან...

„ზესტაფონის ფერო - მშენის დახურულ სასადილოს გამგე გრ. უგრეხელიძე და ადმინისტრატორი ევ. ჩხიკვაძე მუშებს უხეშად ეპყრობიან და ლანძღვა - გინებით უმასპინძლდებიან“.

ტურა.

უგრეხელიძე, ჩხიკვაძე ალბად ძმები და ტოლია, რა უჭირს სასადილოსა კარგი პატრონი ყოლია! ფერომშენისა გამგემა ნეტამ თუ იცის ესაო, ხულიგნებს ასდოს ნიჩაბი

ზიათურა

„ქიათურის რკინის გზის სადგურის ბუფეტის გამგედ არის ყოფილი მიკიტანი, რომელიც დაწესებულ ნიბრზე ზევით ყიდის პროდუქტებს“.

ფრთიანი.

მიკიტანი ძველ სიწუწუკეს თუ არ იშლის, ისევე წოწკობს,




სადგურისა მართველობაც დუმილითა მას ხელს უწყობს, ცხადი არის მიკიტანი უფრო გაშლის თავის მადებს, ხალხის ძარცვა-გატყავებას არაფრადაც არ ჩაადგებს!

სანთლის ჭურღები

„ქიათურის მატარებლებში ყოველთვის ბნელა კონდუქტორები ითვისებენ სანთლებს, მგზავრებს კი ეუბნებიან: „ადმინისტრაცია არ გვაძლევს სანთლებს და რა ავანთოთო“.“

იანი.

ერთი, ორი, ერთი, ორი, რა ყოფილა კონდუქტორი! მოუბარავს მას სანთელი არ გეგონოთ თქვენ ასე მარა



ბო... ხომ არ გძინავთ ღაცხეთ ქურდსა კონდუქტორებს, ამნაირი მავნებლები რკინის გზებსა მოაშორეთ!




13

ამხბა „წინ“—რევიანებო, წინ

ქვემოთა
გეგმობი

საბინაო ამხანაგობის „წინ“ გამ-გ ბის თავმჯდომარე კოტე ბუაჩი-
ძემ ახალ ბინებში ჩაასახლა ძმები სიძე და სხვა თავისი მეგობრები. ამ-
ხანაგობის ძველ წევრებს კი ახლა ურჩევს სხვა საბინაო ამხანაგობაში
წახ. დონის გადასვლას. **ქველი წევრი.**



„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული“
დემ, წევრებს სრულად შქონდეთ
გადახდილი ბინის ფული,
ბინას მაინც არ ვაღირსებ,
თუნდ ამოხდეს ყოლის სული,
მე ბევრი მყავს ძმები, დები,
სიძე, მული და ძმისწული.

ენაცვალოს ამათ ყველა,
მათთვის ვაგებ ახალ სახლებს
და ხელს ბინებს ახალ სახლში
ამათ გარდა ვერიონ ახლებს.
მიტომ შქვია ჩვენს ვავშირს „წინ“,
რომ ყველას წინ თავს ვცემ პატივს,
ვენაცვალე მე ამნაირ
საბინაო ყოოპერატივს...

კოტე ბუაჩი...უკაცრავად,
რინ-ბინ-ბინ.



წინაღობა - ნ.ბ. მარიაშის.

ცივი მხარე

სუსხიანი ხამორის თვეში
ტენნიკუმში შევიარე.
შემომესმა: — „ჰა, მიჩვენე
სად იქნება ცივი მხარე!“

და აღმზრდელმა თავის შევირდს
გაუშალა რუქა წინა.
შეყოყმანდა შევირდი და
მთელმა ჯგუფმა ჩაიცინა.

— მანდ ვერ ნახავ, რაც შენ გინდა..
ხმა გაისმა ერთგან ჩუმი: —
— ცივი მხარე ქვეყანაზე
არის ჩვენი ტენნიკუმი.

პოსა.



— მომეცით მორიგი შევებულება.
— აკი ამბობდი წამთარში შევებულ
ბაში არ წავალთ?
— ათასგვარი წმენდა გამოიწყეს და
ვინ იცის, თუ არ მოვასწარი შეიძლება
საზაფხულო შევებულების ნაცვლად, ისამუ
დამო შევებულებაში“ მიყარნ თავი.

მანინჯაური

(რბ. გზის ფარდული № 20)

მანინჯაურის ფარდულის
გამგად უბეში ცაკია,
ფირებაში და ლანძღვაში
მარტოდენ ის მამაკია!
ხელში უჭირავს მას გრძელი
მახვილი დანა პურისა,
ზრდილობა რუხი მგლისა აქვს,
სირცხვილ-ნაბუსი ტურისა.
მუდამ იძახის, რომ პური
ორმოტი კილო მაკლია,
ვისა აქვს იმის უფლება
/რომ გაუშინჯოს დახლია.
ერთმა მუშამ სთქვა — მე ვიცი
პურს რად არ მამლევეს გერვასა.
რადგან ნუნუა წითელი
ჯერ კიდევ ზორბად ვერ ვახვი
ასე ამრიგად, ეს გვირი
ღვინის ალერსით მკვდარია,
მანინჯაურის ფარდულში,
საქმე სულ არივ-დარია.

ფლვისანიკაში

არბორ ბაშენო

— რა გვარი ხარ?
— არ გეტყვით! რა ვალდებულება
წინადა ჩარლსტონაძე, რომ თავისი
ვინაობ: ნოვანსენოს.
— ხად ცხოვრობთ?
— რას ჩამაცვიდა ეს ოხერი! მის
შემდეგ, რაც მე გადავედი ტფილის-
ში ქვანის ქ., მე-13 ნომერში, ამი-
სთანა თავხელი არავინ მინახავს.

ბანაბარტება

„ნიანვის“ მე-19-ე ნომერში მოთაე
სებული ცნობა წალენჯიხის ექიმ
ვ. ლეჟავას შესახებ — არ შეეფერება
სინანდვილეს.
„ნიანვის“ ჩამაქცია



მეღებარს (სამტრედია). თქვენი
ლექსი ეწინააღმდეგება თქვენგან
არჩეულ ფსევდონიმის შინაარსს:

შევშინდი კაცი: ტლფფონს
აწი ვერ გავეკარები: —
აღთა მსურს, ბალთას მაძლევენ
იქ მომუშავე ქალები.

თუ ამისთანა პატარა საქმეზე შე-
შინდით, რალა მედგარი ყოფილ-
სათო?

მერკსრის (სად. ორპირი). რატომ
წუხართ ხმამაღლა მოლაბარაკე რა-
დიო აპარატის გაფუჭებას, როცა
არა ნაკლებ ხმამაღლა მოლაბარაკე
აპარატი სადგურის საღაროში გქო-
ნიათ; ამას აღასტურებს თქვენი ლე-
ქსის ნაწყვეტი:

მოლოარე არის დიმიტრი,
ქეჟავს ვით ამირანია,
იგი რომ ყვირილს დაიწყებს,
ყალყზე გვადგება თანია.

ამ ლექსიდან ჩვენ გავიგეთ, რომ
თქვენი თმები „სტოიკაზე“ დამდგა-
რა და თქვენი სადგურის ადმინის-
ტრაცია კი თავის ადგილზე არ მდგა
რა.

ალ. შაზინს (აქავე) წერა შეგიძ-
ლიათ, მაგრამ თქვენს მოთხრობაში
„ცოლი, ქმარი და მეგობარი“ არ
არის იუმორი. სცადეთ.

გიში მარტულს. (აქავე) თქვენი ლე-
ქსებიდან ვერაფერი ვერ გავიგეთ.
გამოდის ისე, რომ თქვენ ყოფილ-
ხართ ლექსების „გიჟი-მყრელი“ და
ჩვენ კი თქვენი „გიჟი-მყრელი“ ლე-
ქსების — „გოდორ-მყრელი“. რად
გვაყენებთ თქვენი მუხის „ცოდვა-
ში“? სხვა საქმე გაიხინეთ.

ჩვეულებრივად...

გელათი. (ტყიბულის რაიონი) სად
ლაც გაქრა გლეხობისათვის მიღებუ-
ლი ფართლეული. ბოროტი სმები
ამბობენ, რომ ფართლეულმა ფეხი
აიღდა, კოოპერატივიდან გავიდა და
ნოქარ ერემა ბიბილაშვილის და პი-
სა ძმა-ბიძების სახლებში მოიკალა-
თაო. კვლევა-ძიება არ სწარმოებს
კიკო.

სახშუპარი

ხადგ. სვირი. რაიონშესის სააღმშე-
ნებლო კომიტეტის სვირის სატყეო
საწყობის გამგემ დათა რობაქიძემ
1000 მანეთის ხე-ტყის მასალით დაა
საჩუქრა მისი მეგობარი ვასილ ქორია
შვილი. რობაქიძე ამბობს: სულ ერ-
თია ამას ვერავინ გაიგებს და რიონ-
შესს ამით არაფერი დააკლდება.
ბაბი

დაკარგვა

ჭკადუაში. (ზუგდიდის რაიონი)
უგზო-უკვლოდ დაიკარგა ქკადაუ-
შის მევენახეობის საბჭოთა მეურნეო
ბის მუშაკობის თავმჯდომარე აძხ.
პაპავა. პაპავა სამი დღით წასული
იყო ტფილისში მეურნეობის საქმე
ბის გამო. ჩაითვალოს გაუქმებუ-
ლად.

მეგრელი.

ღამკვკალი.

ს. დიდი ვანი. დიდი-ვანის კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარემ-ე. ჯანე
ლიძემ დამკვრელად გამოაცხადა
თავი ლოთობასა და ლანძღვა-ვიხე-
ბაში. თავის სიტყვას ჯერ-ჯერობით
ჯანელიძე პირნათლად სარულებს.
ვანელი.

სიზმარი.

ხადგ. ხალიეთი. სადგურის მოსამ-
სახურე ფხაკაძემ ნახა სიზმარი, ვი-
თომც მას თავს წაადგა ის გლეხები,
რომლებსაც ბილეთში ზედმეტ ფასს
ახდევინებს და დაუპირეს დახრობა.
ფხაკაძემ მორთო ყვირილი: „მაპა-
ტიეთ, მეტს აღარ ჩავედნო“ და და-
აბირა გაქცევა, რის დროსაც ტახტი-
დ-ნ მიწაზე ბრაგვანი მოადინა და
ჩაიბტერია წუწკობას დაჩვეული
კბილები.

გამოღვიძება

სოფ. ქვემო-ქალა. დიდი ხნის ძი-
ლის შემდეგ სამკითხველოს გამგემ
გადასწავიბა ვალოს სამკითხველო,
როგორც კი მიიღებს 1932 წლის
ფურნალ-გაზეთებს.

ყარ.



